

ქალაქ თბილისის საკრებულო  
გადაწყვეტილება № 9-5  
7 ნოემბერი, 2001 წ.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე ძაღლების,  
კატებისა და მტაცებელი ცხოველების  
შენახვის წესების შესახებ

ქალაქ თბილისის საკრებულო აღნიშნავს, რომ დედაქალაქში ეპიზოოტიური  
კეთილსაიმედოობის შენარჩუნების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის დაცვის მიზნით  
ცხოველების და ადამიანის საერთო საშიში დაავადებებისაგან, ქალაქ თბილისის  
მთავრობის მიერ გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები.

მიუხედავად ამისა, ქალაქში არსებობს ეპიზოოტიური სიტუაციის გართულების  
საშიშროება, რაც გარკვეულწილად განპირობებულია ცხოველთა მფლობელი  
მოქალაქეების, სახელმწიფო და უწყებრივი ორგანიზაცია-დაწესებულებების  
ხელმძღვანელობის მიერ “ვეტერინარიის შესახებ” საქართველოს კანონის (კარი V,  
მუხლი 32) და ვეტერინარული კანონმდებლობით გათვალისწინებული ცხოველთა  
მოვლა-შენახვის მოთხოვნების შეუსრულებლობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე,

1. მიღებულ იქნეს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ძაღლების, კატებისა და  
მტაცებელი ცხოველების შენახვის წესები, თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას (გ. შერაძე):
  - ა) უზრუნველყოს შინაური ცხოველების მოვლა-შენახვის წესის  
მოსახლეობაში ფართო პროპაგანდა ქალაქის საინფორმაციო საშუალებების  
გამოყენებით.
  - ბ) დააწესოს სისტემატიური კონტროლი აღნიშნული წესების დაცვაზე და  
დარღვევების ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გაატაროს საქართველოს  
კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი.
2. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სოციალურ საკითხთა  
კომისიის თავმჯდომარეს (მ. ნიკოლაიშვილი).

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე  
ვ. კახაძე

ქ. თბილისის საკრებულოს მდივანი  
ზ. გუდავაძე

**ქალაქ თბილისში ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების  
შენახვის წესები**

**1. ზოგადი დებულებანი**

1. ქალაქ თბილისში ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების შენახვის წესები როგორც კერძო პირებზე (მოქალაქეებზე), ისე ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და საწარმოებზე, რომლებსაც ჰყავთ ძაღლები, კატები და მტაცებელი ცხოველები.
2. ქ. თბილისში ძაღლების შენახვა შესაძლებელია მხოლოდ იზოლირებულ ტერიტორიაზე (კარგად შემოღობილი ეზოები, ნაკვეთები, ვოლიერები და სხვა), ან დაბმულ მდგომარეობაში.
3. იზოლირებულ ბინებსა და ინდივიდუალურ სასახლებში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს უფლება აქვს იყოლიონ ცხოველები მოვლა-შენახვის წესების, ზოოჰიგიენური და ვეტ-სანიტარული ნორმების სრული დაცვით, ხოლო საერთო სარგებლობის ფართის მქონე პირებისთვის აუცილებელ დამატებით მოთხოვნად დაწესდეს ყველა მაცხოვრებლის წერილობითი თანხმობა.
4. ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების შენახვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში შესაძლებელია მხოლოდ მათი მოვლა-შენახვის წესების, ზოოჰიგიენური და ვეტ-სანიტარული ნორმების სრული დაცვის შემთხვევაში.
5. ძაღლების გასეირნება სკვერებში, საერთო ეზოებსა და ქუჩებში ნებადართულია მხოლოდ მოკლე საბმელით და ალიკაპით. ძაღლების ყოლა დაუბმელად ნებადართულია მხოლოდ საიმედოდ შემოფარგლულ იზოლირებულ ტერიტორიებზე, სასწავლო-საწვრთნელ მოედნებზე და სპეც. დაწესებულებების მიერ მათი ოპერატიული გამოყენების შემთხვევაში.

**2. ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების  
მფლობელთა უფლება-მოვალეობები**

1. ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების მფლობელები ვალდებული არიან:
  - ა) მკაცრად დაიცვან მათი შენახვის წესები, უზრუნველყონ გარემომცველ პირთა უსაფრთხოება და არ დაუშვან ცხოველთა მიერ საერთო სარგებლობის ადგილების დაბინძურება;
  - ბ) რეგისტრაციაში გაატარონ საკუთრებაში მყოფი ცხოველები ვეტერინარიულ სამკურნალოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ცხოველის კუთვნილ ვეტერინარიულ მოწმობაში სათანადო აღნიშვნის გაკეთებით;

- ვ) ხუთი დღის განმავლობაში შეატყობინონ ვეტერინარიულ სამკურნალოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ძაღლის, კატის და მტაცებელი ცხოველის შექენის, ასევე მათი სხვა ადგილას გადაყვანის შესახებ;
  - დ) ვეტერინარიული სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად მიიყვანონ საკუთრებაში მყოფი ცხოველები რაიონულ ვეტერინარიულ სამკურნალოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საჭირო გამოკვლევებისა და ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩასატარებლად, ხოლო ცხოველთა დაავადების ან დაცემის შემთხვევებზე დაუყოვნებლივ აცნობონ შესაბამის ვეტერინარიულ სამკურნალოს;
  - ე) სასწრაფოდ შეატყობინონ სამედიცინო და ვეტერინარიულ დაწესებულებებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საკუთრებაში მყოფი ცხოველების მიერ ადამიანის ან სხვა ცხოველების დაკბენის შესახებ, დაუყოვნებლივ მიაკითხონ რაიონის ვეტერინარიულ სამკურნალოს, ცხოველზე 10-დღიანი ვეტ. ზედამხედველობის დასაწესებლად. ვეტ. ზედამხედველობისთვის განკუთვნილ ხარჯებს იხდის ცხოველთა მფლობელი.
2. ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების მფლობელებს უფლება აქვთ:
    - ა) გადაიყვანონ ტრანსპორტით კერძო მფლობელობაში მყოფი ცხოველები მოქალაქეთა უსაფრთხოების წესების დაცვით;
    - ბ) კერძო მფლობელობაში მყოფი ცხოველების ქალაქში შემოყვანა-გაყვანა აწარმოონ მხოლოდ ვეტერინარიული სამსახურის მიერ გაცემული ვეტერინარიული მოწმობა – ფორმა №1-ის არსებობის შემთხვევაში.
  3. ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების მფლობელებს ეკრძალებათ:
    - გადაიყვანონ ქუჩაში ძაღლები მოკლე საბმელისა და ალიკაპის გარეშე;
    - შეიყვანონ ცხოველები საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, სასურსათო მაღაზიებში, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში.
  4. ცხოველთა ყიდვა-გაყიდვისას ან ქალაქიდან გაყვანისას იქონიონ ვეტერინარიული მოწმობა ფორმა №1, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარების თარიღი, ცნობის გაცემიდან მინიმუმ 1 თვით ადრე.
3. შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოვალეობანი ქალაქ თბილისში ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების შენახვის პირობების უზრუნველსაყოფად

1. მოხეტიალე, უპატრონოდ მყოფი ცხოველები ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ დაჭერასა და იზოლაციას.
2. სპეცავტომურნიობების ძალმჭერი ბრიგადების მიერ იზოლირებული ცხოველები შეიძლება დაუბრუნდეს მესპატრონეს მფლობელობის დამტკიცების შემთხვევაში (სარეგისტრაციო მოწმობა, ვეტერინარიული მოწმობა და ა.შ.). ცხოველთა შენახვის ხარჯებს იხდის მესპატრონე.
3. დაჭერა-იზოლაციას არ ექვემდებარებიან ორგანიზაცია-დაწესებულებებზე და საცხოვრებელ სახლებზე ე.წ. მიკედლებული ძაღლები, რომლებსაც გააჩნიათ

საიდენტიფიკაციო საყელური, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ცხოველი აცრილია ცოფის საწინააღმდეგოდ და იმყოფება მობინადრეების ან თანამშრომლების მზრუნველობის ქვეშ.

4. თუ მოქალაქის დაკბენა მოხდა მაწანწალა ცხოველის მიერ, მან უნდა მიმართოს შესაბამის რაიონულ ვეტერინარიულ სამკურნალოს დაძკბენ ცხოველზე 10-დღიანი ვეტ. ზედამხედველობის დასამყარებლად.
5. ძაღლების რეგისტრაციაში გატარებაზე პასუხისმგებელია მეპატრონე და სახლის რწმუნებული.
6. ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების შენახვის წესების დარღვევისათვის მათი მეპატრონეები ჯარიმდებიან ვეტერინარიული სამსახურის მიერ.
7. არარეგისტრირებული ძაღლების, კატების და მტაცებელი ცხოველების გამოვლენაში მონაწილეობას იღებენ შესაბამისი რაიონული პოლიციის ორგანოები, ადმინისტრაციული ინსპექციის თანამშრომლები და რაიონული ვეტერინარიული სამსახური.